

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №31
2017 წლის 21 დეკემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი №1 დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 21 დეკემბრის №56 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 23/12/2016; 190020020.35.174.016192) და „გორის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 დეკემბრის №47 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 23/12/2016; 190020020.35.148.016353).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე

დანართი №1

მუხლი 1. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	38,431.8	38,683.5	7,724.7	30,958.8	30,950.0	303.0	30,647.0
გადასახადები	6,045.7	6,650.0	0.0	6,650.0	6,700.0	0.0	6,700.0
გრანტები	28,790.9	28,733.6	7,724.7	21,008.9	21,011.8	303.0	20,708.8
სხვა შემოსავლები	3,595.1	3,299.9	0.0	3,299.9	3,238.2	0.0	3,238.2
ხარჯები	28,039.5	24,952.7	435.9	24,516.8	24,293.1	303.0	23,990.1
შრომის ანაზღაურება	4,416.2	3,947.2	133.7	3,813.5	3,235.0	107.0	3,128.0
საკონელი და მომსახურება	3,190.6	3,609.7	142.9	3,466.8	4,114.4	51.0	4,063.4



პროცენტი	261.8	170.0	0.0	170.0	155.1	0.0	155.1
სუბსიდიები	14,203.8	13,344.5	112.5	13,232.0	13,653.6	135.0	13,518.6
გრანტები	1,066.4	347.5	2.5	345.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,146.1	1,618.7	34.8	1,583.9	1,586.0	10.0	1,576.0
სხვა ხარჯები	1,754.5	1,915.2	9.5	1,905.7	1,549.0	0.0	1,549.0
საოპერაციო სალდო	10,392.4	13,730.8	7,288.8	6,442.0	6,656.9	0.0	6,656.9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	10,580.1	18,714.6	9,229.9	9,484.7	6,498.7	0.0	6,498.7
ზრდა	11,637.5	19,294.6	9,229.9	10,064.7	7,028.7	0.0	7,028.7
კლება	1,057.4	580.0	0.0	580.0	530.0	0.0	530.0
მთლიანი სალდო	-187.7	-4,983.8	-1,941.1	-3,042.8	158.2	0.0	158.2
ფინანსური აქტივების ცვლილება	-362.5	-5,205.4	-1,983.5	-3,222.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	574.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	574.3	0.0			0.0	0.0	
კლება	936.8	5,205.4	1,983.5	3,222.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	936.8	5,205.4	1,983.5	3,222.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-174.8	-221.6	-42.4	-179.2	-158.2	0.0	-158.2
კლება	174.8	221.6	42.4	179.2	158.2	0.0	158.2
საშინაო	174.8	221.6	42.4	179.2	158.2	0.0	158.2
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	39,489.3	39,263.5	7,724.7	31,538.8	31,480.0	303.0	31,177.0



შემოსავლები	38,431.8	38,683.5	7,724.7	30,958.8	30,950.0	303.0	30,647.0
არაფინანსური აქტივების კლება	1,057.4	580.0	0.0	580.0	530.0	0.0	530.0
გადასახდელები	39,489.3	39,263.5	7,724.7	31,538.8	31,480.0	303.0	31,177.0
ხარჯები	28,039.5	24,952.7	435.9	24,516.8	24,293.1	303.0	23,990.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	11,637.5	19,294.6	9,229.9	10,064.7	7,028.7	0.0	7,028.7
ვალდებულებების კლება	174.8	221.6	42.4	179.2	158.2	0.0	158.2
ნაშთის ცვლილება	-362.5	-5,205.4	-1,983.5	-3,222.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 30 950,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	38,431.8	38,683.5	7,724.7	30,958.8	30,950.0	303.0	30,647.0
გადასახადები	6,045.7	6,650.0	0.0	6,650.0	6,700.0	0.0	6,700.0
გრანტები	28,790.9	28,733.6	7,724.7	21,008.9	21,011.8	303.0	20,708.8
სხვა შემოსავლები	3,595.1	3,299.9	0.0	3,299.9	3,238.2	0.0	3,238.2

მუხლი 4. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 6 700,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	6,045.7	6,650.0	0.0	6,650.0	6,700.0	0.0	6,700.0
საშემოსავლო გადასახადი	2,320.8	2,520.0		2,520.0	2,100.0		2,100.0
ქონების გადასახადი	3,725.0	4,130.0	0.0	4,130.0	4,600.0	0.0	4,600.0



საქართველოს საწარმოთა	2,104.0	2,850.0		2,850.0	3,320.0		3,320.0
ქონებაზე (გარდა მიწისა)							
უცხოურ საწარმოთა	4.8	0.0			0.0		
ქონებაზე (გარდა მიწისა)							
ფიზიკურ პირთა	49.6	52.0	0.0	52.0	52.0	0.0	52.0
ქონებაზე (გარდა მიწისა)							
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	747.3	652.0	0.0	652.0	652.0	0.0	652.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	819.3	576.0	0.0	576.0	576.0	0.0	576.0

მუხლი 5. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 21 011,8 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
გრანტები	28,790.9	28,733.6	21,011.8
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0	300.1	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	28,790.9	28,433.5	21,011.8
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	19,823.4	21,018.8	21,011.8
გათანაბრებითი ტრანსფერი	19,516.6	20,708.8	20,708.8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	306.8	310.0	303.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	8,967.5	7,114.7	0.0
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	6,766.2	7,089.9	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2,201.3	0.0	0.0
მთავრობის სარეზერვო ფონდიდან	0.0	24.8	0.0

მუხლი 6. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 3 238,2 ათასი ლარის ოდენობით:

--	--	--	--



დასახელება	2016 წლის	2017 წლის	2018 წლის გეგმა
	ფაქტი	გეგმა	
სხვა შემოსავლები	3,595.1	3,299.9	3,238.2
შემოსავლები საკუთრებიდან	740.5	614.5	605.0
პროცენტები	272.9	251.9	190.0
რენტა	467.6	362.6	415.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	209.3	160.0	190.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან მართვაში (უზუფრუქტი, გირავნობა და სხვა) გადასაცემად	258.3	190.7	225.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0.0	11.9	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,123.1	1,065.4	1,073.2
ადმინისტრაციული მოსაკრებელი და გადასახდელები	1,061.7	1,030.2	1,013.0
სანებართვო მოსაკრებელი	87.6	110.0	130.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.1	0.3	0.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	4.6	2.0	3.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	676.2	660.0	600.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	293.2	257.9	280.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	61.4	35.2	60.2
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	61.4	35.2	60.2
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,453.6	1,510.0	1,560.0

მუხლი 7. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 24 293,1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	28,039.5	24,952.7	435.9	24,516.8	24,293.1	303.0	23,990.1



შრომის ანაზღაურება	4,416.2	3,947.2	133.7	3,813.5	3,235.0	107.0	3,128.0
საკონელი და მომსახურება	3,190.6	3,609.7	142.9	3,466.8	4,114.4	51.0	4,063.4
პროცენტი	261.8	170.0	0.0	170.0	155.1	0.0	155.1
სუბსიდიები	14,203.8	13,344.5	112.5	13,232.0	13,653.6	135.0	13,518.6
გრანტები	1,066.4	347.5	2.5	345.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,146.1	1,618.7	34.8	1,583.9	1,586.0	10.0	1,576.0
სხვა ხარჯები	1,754.5	1,915.2	9.5	1,905.7	1,549.0	0.0	1,549.0

მუხლი 8. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6 498,7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 7028,7 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	250.3	278.1	25.0
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3,537.6	8,438.1	735.0
03 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	426.2	1,002.2	153.7
04 00	სპორტული და კულტურული ღონისძიებები	195.4	1,604.5	10.0
05 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
სულ ჯამი		11,637.5	19,294.6	7,028.7

ბ) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 530,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	1,057.4	580.0	530.0
ძირითადი აქტივები	8.5	220.0	190.0
არაწარმოებული აქტივები	1,049.0	360.0	340.0
მიწა	1,049.0	360.0	340.0



მუხლი 9. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	6,545.9	6,410.0	5,482.7
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	6,544.9	6,240.0	5,296.4
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	6,544.9	6,226.4	5,196.4
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	13.6	100.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	0.0	31.2
70131	საერთო საკადრო მომსახურება	0.0	0.0	31.2
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	1.1	170.0	155.1
704	ეკონომიკური საქმიანობა	8,359.1	13,814.3	9,370.5
7045	ტრანსპორტი	4,263.9	9,001.4	1,315.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4,261.0	8,991.4	1,315.0
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	2.8	10.0	0.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	4,095.2	4,812.9	8,055.5
705	გარემოს დაცვა	2,932.5	618.8	90.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	128.6	0.0	25.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	2,803.9	618.8	65.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	5,519.3	7,558.7	2,580.6
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	284.9	290.3	220.0
7063	წყალმომარაგება	3,775.9	5,502.5	1,005.6
7064	გარე განათება	686.6	1,080.0	800.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	772.0	685.9	555.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	1,688.4	285.9	245.0
7072	ამბულატორიული მომსახურება	107.4	136.6	110.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	1,581.0	149.3	135.0



708	დასვენება, კულტურა და რელიგია	7,258.8	7,385.9	5,719.3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3,525.8	4,151.5	2,887.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	3,205.5	2,788.6	2,349.3
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	29.9	27.0	30.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0.0	100.0	200.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	497.7	318.8	253.0
709	განათლება	5,376.8	6,328.4	5,993.7
7091	სკოლამდელი აღზრდა	2,770.1	2,618.2	100.0
7092	ზოგადი განათლება	60.9	46.2	40.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	60.9	46.2	40.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	2,545.8	3,664.0	5,853.7
710	სოციალური დაცვა	1,996.1	1,845.2	1,840.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	811.4	765.9	1,019.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	574.8	519.3	801.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	236.6	246.7	218.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	7.0	9.0	9.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	61.4	66.4	64.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	200.2	189.3	206.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	141.6	138.8	140.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	774.5	675.8	402.0
	სულ ჯამი	39,677.0	44,247.3	31,321.8

მუხლი 10. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 158,2 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -158,2 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი



გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი – 303,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 135,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 158,0 ათასი ლარი;

გ) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ და „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 10,0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

განხორციელდება კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობა-ექსპლოატაცია და კეთილმოწყობის ღონისძიებები.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება გზების, სანიაღვრე არხების, სკვერების, გაზონების, საბავშვო გასართობი და სპორტული მოედნების, მინიატურული ძეგლების მოწყობა-რეაბილიტაცია. მიწისქვეშა ავტომატიზირებული ნაგვის ურნების მოწყობა და ვერხვების დევნილთა დასახლებაში სასაფლაოს შემოღობვა.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის საავტომობილო, სოფლების დამაკავშირებელი და შიდასაუბნო გზების მოვლა და რეაბილიტაცია.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება გზებისა და ქუჩების რეაბილიტაცია.

ა.ა) გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის ქუჩების და საავტომობილო



გზების რეაბილიტაცია, ვარიანის, მეჯვრისხევის, ახალუბანი, ტყვიავის, მერეთის, ბერბუკის, ტირმნისის, კარალეთის, დიცის, ზელდუღეთის და სხვა ტერიტორიულ ორგანოებში შემავალი სოფლების შიდა გზების მოხრეშვა, მოვლა-პატრონობა და ქალაქის ქუჩების ორმული შეკეთება.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება მშვიდობის გამზ.№2 და №2/ა-ს შორის გზის მოპირკეთება, შინდისის გზ.№14 კორპუსის წინ გზის მოასფალტება და მშვიდობის გამზ.№19, 21, 23 კორპუსების გვერდით გზის მოპირკეთება, ნადირადის ქუჩაზე და ცხინვალის გზ.№9/ბ-დან №21/ა კორპუსების დასავლეთის მხრიდან საფენმაველო სივრცეების მოწყობა.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების ელ.ენერჯის ღირებულების ანაზღაურება, სოფლებში ელექტროგადამცემი ხაზების მოწყობა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, რკინიგზის დასახლებაში არსებული საკანალიზაციო ქსელის გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირების ხელშეწყობა, ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების სისტემების რეგულირების და გარე განათების უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციონირების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურული პროექტების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენის ხელშეწყობა, საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხელშეწყობა.

ბ.ა) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 01)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების მიზნით პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ქუჩების, შენობების, ხიდების, შადრევნების გარე განათებაზე დახარჯული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურება და სოფლებში ელექტროგადამცემი ხაზების მოწყობა.

ბ.ბ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ნაგვის ურნების შექმნა.

ბ.გ) საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რკინიგზის დასახლებაში არსებული საკანალიზაციო ქსელის გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირების (ელ.ენერჯის ღირებულების ანაზღაურება) ხელშეწყობა.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში გათვალისწინებულია სამეფოს ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობა.

ბ.დ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სასმელი წყლის სოკოებზე და შადრევნებზე დახარჯული წყლის ღირებულების და დევნილთა დასახლებებში სასმელი წყლის ჭაბურღილების ფუნქციონირებისათვის საჭირო ელ.ენერჯის ღირებულების ანაზღაურებას. მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდება ჭაბურღილების მოწყობა და სასმელი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია.

ბ.ე) საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 02 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა.

ბ.ვ) ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 02 10)



მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების და შემდგომში პრობლემის გადაჭრის მექანიზმის შექმნის მიზნით მუნიციპალიტეტი აცხადებს მზადყოფნას გარკვეული თანადაფინანსებით წახალისოს ყველა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო, არასამთავრობო, სათემო, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო და სხვა), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას პროექტის განხორციელებისათვის.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება.

ბ.ზ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 02 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსება. თანადაფინანსების შემთხვევაში აღნიშნული პროექტი უნდა ითვალისწინებდეს მრავალსართულიანი სახლების, ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობას, ექსპლუატაციას და განვითარებას.

პროექტის წარმოდგენმა ამხანაგობამ უნდა მოახდინოს თანადაფინანსება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისა და სასმელი წყლის და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის განხორციელება პროექტის საერთო ღირებულების მინიმუმ 10%-ით; ხოლო მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების მოასფალტებისა და სადარბაზოების რეაბილიტაციის პროექტების განხორციელებისას განისაზღვროს პროექტის საერთო ღირებულების მინიმუმ 20%-ით.

ბ.თ) ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების სისტემების რეგულირების და გარე განათების უზრუნველყოფის სამსახურის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში ახორციელებს გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლების სისტემების მოვლა-პატრონობას (წყალსადენის სათავე-ნაგებობები, ჭაბურღილები, წყალსადაწნეო კომპლექსები, რკინა-ბეტონის რეზერვუარები, მაგისტრალური და შიდა ქსელები); უზრუნველყოფს საქლორატორო მოწყობილობების მეშვეობით სასმელი წყლის გაუსნებოვნებას და სოფლის მოსახლეობისთვის ხარისხიანი, ნორმის ფარგლებში არსებული წყლის მიწოდებას დაწყალმომარაგების სისტემების დაზიანების შემთხვევაში, მათ ოპერატიულ აღდგენას.

ასევე, გარე განათების შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის არსებული სისტემების მოვლა-შენახვას და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი რემონტის, აგრეთვე, სხვადასხვა სიმძლავრის დაზიანებული ნათურებისა და მწყობრიდან გამოსული ელემენტების შეცვლას.

ბ.ი) ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენის სამუშაოების დაფინანსება.

გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება იერსახის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების და გაზონების გამწვანება, მოვლა-შენახვა, მოწყობა და რეაბილიტაცია. ასევე მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მოვლა-ექსპლოატაცია.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება სკვერების, გაზონების, საბავშვო გასართობი და სპორტული მოედნების, მინიატურული ძეგლების მოწყობა-რეაბილიტაცია და ვერხვების დევნილთა დასახლებაში სასაფლაოს შემოღობვა.

გ.ა) საახალწლოდ ქალაქის მორთვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03 01)



წინა საახალწლო ღონისძიებების განსახორციელებლად იგეგმება მუნიციპალიტეტში გაფორმების სამუშაოების უზრუნველყოფა კერძოდ: ხელოვნური ნაძვისხის მონტაჟი და დემონტაჟი, შენობებზე, ხის ვარჯებზე და ქუჩებში გაბმულ სადენებზე სხვადასხვა სახის დეკორატიული სანათების მოწყობა და დემონტაჟი.

გ.ბ) სკვერებისა და გაზონების ექსპლოატაცია, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 03 03)

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში იგეგმება სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია ბავშვთა გასართობი და სპორტული მოედნებით.

გ.გ) მუნიციპალური შენობებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ლიფტების და ეზოების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და ა(ა)იპ-ების სარგებლობაში არსებული შენობების რეაბილიტაცია და ეზოების კეთილმოწყობა.

გ.დ) სპორტული მოედნების მოწყობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 03 06)

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში დაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მინი-მოედნების რეაბილიტაციის თანადაფინანსება.

გ.ე) დეფექტური აქტების, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსება (პროგრამული კოდი 02 03 07)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს წარმოადგენს, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესის გათვალისწინებით, შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ასევე აუცილებელ შესრულებულ სამუშაოებზე ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამების ფარგლებში დაგეგმილია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

გ.ვ) ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის გამწვანების და სანერგე მეურნეობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გამწვანებისათვის და ქარსაცავი ზოლის მოწყობისათვის საჭირო ნერგების გამოყვანა, დაკალმვა, ნიადაგის მოვლა და დაზიანებული ხეების გასხვლა-გადაბეღვის სამუშაოები. სკვერების და გაზონების მოვლა, მწვანე ნარგავების შექმნა, დარგვა და გამწვანების ზოლებში სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

გ.ზ) ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების დაგვა-დასუფთავება, მოსახლეობიდან და ორგანიზაციებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ურნების გათავისუფლება და სანიტარიული დამუშავება (პერიოდულად); მუნიციპალიტეტის იერსახის შენარჩუნების და შემდგომი გაუმჯობესებისათვის ქუჩების, შენობების, ხიდების, შადრევნების, გარე განათების სისტემის და შენობა-ნაგებობების დეკორატიული განათების მოწყობა-ექსპლოატაცია; სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები; ქუჩების მოვლა ზამთრის სეზონზე; შადრევნების მოვლა-ექსპლოატაცია; მუნიციპალტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოსაცდელების მოვლა-პატრონობა.

გ.თ) ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური პრობლემების და მოთხოვნილებების შესწავლის,



მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის განსახორციელებელი პროექტებისათვის თანხების მოძიების, დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ სკიზებზე გამოკითხვების ჩატარების, ხელისუფლების და ბიზნეს სექტორის მიერ საინვესტიციო შესაძლებლობების ანალიზის, უცხოურ ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარების და განვითარების სხვა პროგრამების შემუშავების მიზნით დაგეგმილია მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯების უზრუნველყოფა სუბსიდირების გზით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების სამგანზომილებიანი მოდელირება, მასზე არსებული ინფორმაციის მიმაგრება და ინტერნეტ სივრცეში განთავსება. გეოინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და შენობა-ნაგებობების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით მათი ექსპლოატაციისათვის აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველყოფა.

შიდა ტურიზმის, შემოყვანის ტურიზმის, სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის პოპულარიზაცია და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება მოსწავლე-ახალგაზრდობაში. ტურიზმსა და საკურორტო სფეროში მუნიციპალური პრიორიტეტების, სტრატეგიისა და წინადადებების შემუშავება. ახალი ტურისტული ადგილების შექმნისათვის რეკომენდაციების მომზადება და მრავალფეროვანი ტურისტული პროგრამების შექმნა და შეთავაზება.

გ.ი) სასაფლაოების შემოღობვა (პროგრამული კოდი 02 03 14)

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში გათვალისწინებულია ვერხვების დევნილთა დასახლებაში სასაფლაოს შემოღობვა.

გ.კ) ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03 15)

ქვეპროგრამის ფარგლებში ახორციელებს თვითმმართველი თემის – გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების ღონისძიებებს, მოსახლეობიდან და საწარმო-ორგანიზაციებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას მუნიციპალიტეტის 42 (ორმოცდაორი) სოფლიდან და 5 (ხუთი) დევნილთა დასახლებიდან, ასევე სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაციას; საკანალიზაციო, შიდა სარწყავი სისტემებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-ექსპლუატაციას; სასიცოცხლო ფუნქციაშეწყვეტილი მერქნული რესურსის გადაბეღვას, გარემოდან ამოღებას და ახლით ჩანაცვლებას, სპორტული მოედნების, სკვერების და გაზონების მწვანე საფარის მოვლა-შენახვას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციას და მუნიციპალური ქონების მიმდინარე შეკეთებას.

2. განათლება (პროგრამული კოდი 03 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 01)

გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 59 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 5967 აღსაზრდელი.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში სკოლამდელი დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია.

ბ) განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე



არსებულ სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელების, აქტუალური თემებისა და პროექტების წამოწევისა და მათი დაგეგმვა-პრეზენტაციის, მოსწავლე-ახალგაზრდობაში ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და სკოლების ურთიერთთანამშრომლობა და კოორდინაცია. აგრეთვე, ტერიტორიაზე არსებული სკოლების დამამთავრებელი კლასების წარჩინებული მოსწავლეების წახალისება ერთჯერადად ფინანსური დახმარების სახით (ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით).

გ) ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებათა მართვის სააგენტოს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში არსებული და სააგენტოს მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების მართვა, სათანადო ფუნქციონირება და მათი ავტორიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისი სტანდარტების რეგულარული ხელშეწყობა.

ასევე სააგენტო უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ინფრასტრუქტურულ განვითარება-გაუმჯობესებას და ინკლუზიური განათლების პროცესის ხელშეწყობას.

სუბსიდიის ფარგლებში გათვალისწინებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საბავშვო ბაგა-ბაღების ფინანსური უზრუნველყოფა, მათ შორის, კვება, შრომის ანაზღაურება, კომუნალური გადასახადები და სხვა მომსახურება.

დ) ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულებათა მართვის სააგენტოს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება ახორციელებს საბავშვო ბაგა-ბაღებში დღიური ნორმით ბავშვთა კვებას, ხელს უწყობს დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას და სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 04 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული სახეობების განვითარების ხელშეწყობა და სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით. გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსება სპორტული სკოლების გაერთიანების მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებას.

ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოღვაწეობს მრავალი წარმატებული ადამიანი, რომელთა საქმიანობა მიმართულია სპორტული ცხოვრებისაკენ. მუნიციპალიტეტი ახორციელებს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა სპორტსმენებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისება.



ასევე გათვალისწინებულია რაგბის განვითარების ხელშეწყობა.

ა.ბ) ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლების გაერთიანების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად, რათა მოსწავლეებმა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა კალენდარულ ტურნირებში და მიაღწიონ მაღალ შედეგებს.

ასევე, ა(ა)იპ – ქ. გორის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლების გაერთიანების სუბსიდიის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. გორში დ. ჩუბინიშვილის ქუჩაზე მდებარე მულტიფუნქციური ორდარბაზიანი სპორტის სასახლის მოვლა-შენახვის ხარჯები 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

ა.გ) ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი „გორი“-ს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფეხბურთის კლუბის ფუნქციონირების ხელშეწყობის სუბსიდირება.

ა.დ) ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტის კრივის სპეციალიზირებული სკოლისა და საჭიდაო სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და მომავალი სპორტული თაობების აღზრდის შესაძლებლობა.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს სახელოვნებო სკოლების დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ შესაბამისი განათლების მიღებას სრული კურსით. მუნიციპალიტეტი კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში აგრძელებს ცენტრალური ბიბლიოთეკის, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის, მემორიალური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმების, მწერალთა და საგამომცემლო საქმიანობის და დასვენების ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, გეგმავს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობას, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების დაფინანსებას;

ბ.ა) სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება ახორციელებს სოფლებში არსებული სამუსიკო სკოლების დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ შესაბამისი განათლების მიღებას სრული კურსით და უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას;

ბ.ბ) ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი აქტიურად ახორციელებს როგორც საგანმანათლებლო და სახელოვნებო წრეებისა და პროგრამების, ისე შემეცნებითი და აღმზრდელი პროგრამების სწავლების დანერგვას და განვითარებას.

კულტურის ცენტრთან არსებულ 9 (ცხრა) სასოფლო კლუბში აქტიურად ფუნქციონირებს სხვადასხვა წრე (ცეკვის, სიმღერის, ხელსაქმის, მხატვრული კითხვის, ხალხური საკრავების და სხ.), რაც ხელს



უწყობს სასოფლო კლუბის, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო კერის არსებობას და მის სწორ ფუნქციონირებას.

დაარსების დღიდან კულტურის ცენტრი თანამშრომლობს როგორც მაღალმთიანი სოფლების საჯარო სკოლებთან და საბავშვო ბალებთან, ისე საზღვრისპირა (ბუფერული ზონის) სოფლების საჯარო სკოლებთან და საბავშვო ბალებთან.

კულტურის ცენტრის მიზანია მომავალშიც აქტიურად გააგრძელოს ზემოთ აღნიშნული საქმიანობა და განახორციელოს არაერთი პროექტი.

ბ.გ) ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სერგი მაკლათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაფინანსება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული საგანძურის დაცვას, სამუზეუმო ექსპონატების გამოფენას, მოძიებას, კვლევა-შენახვასა და სამეცნიერო შესწავლას.

ბ.დ) ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მემორიალური მუზეუმის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ეროვნული საგანძურის დაცვა, სამუზეუმო ექსპონატების მოძიება, რესტავრაცია, კვლევა-შენახვა და სამეცნიერო შესწავლა, მუზეუმების საგამოფენო, საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება, კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება. მუზეუმების გამოცოცხლება, მოსწავლე-ახალგაზრდობის მოზიდვა, მუზეუმების დაახლოება სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, ბალებთან და სხვა, ერთობლივი კონფერენციები, ერთობლივი კულტურულ-საგანმანათლებლო შეხვედრები, მუზეუმებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება-განვითარებაში;

ბ.ე) ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის მწიგნობარის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლიტერატურული კონსულტაციების გაცემა, მწერალთა შემოქმედებითი საღამოების ორგანიზება, ლიტერატურული ნაშრომების პრეზენტაცია, მწერალთა შემოქმედების პოპულარიზაცია ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემების მეშვეობით;

ბ.ვ) ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ „გორის მაცნეს“ საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივი საინფორმაციო გაზეთის „გორის მაცნეს“ ყოველკვირეული გამოცემის ხელშეწყობას, რომელიც მოსახლეობას აცნობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს, მიღწეულ წარმატებებს და სიახლეებს სხვადასხვა სფეროში;

ბ.ზ) გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიის დაცვა (პროგრამული კოდი 04 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების დაცვა.

ბ.თ) კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობა და თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აცხადებს მზადყოფნას საქართველოში ან/და სხვა სახელმწიფოში არსებული: არასამთავრობო ორგანიზაციების და მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პროექტების და ფესტივალების თანადაფინანსების განსახორციელებლად, რომელიც ემსახურება კულტურული სფეროს გაუმჯობესებას.

ბ.ი) მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფოლკლორულ ანსამბლ



„მაჩაბელას“ ფუნქციონირების ხელშეწყობა.

ბ.კ) ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და დასვენების პარკ „ახალბაღის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და დასვენების პარკ „ახალბაღის“ ადმინისტრაციული ხარჯები, რომელიც ახორციელებს დამსვენებლების მომსახურებას სხვადასხვა გასართობი საშუალებებით.

ბ.ლ) ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 15)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლის და ანა ფერადის სახელობის სამხატვრო სკოლის დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ შესაბამისი განათლების მიღებას სრული კურსით და უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

დაგეგმილია სამხატვრო სკოლასთან არსებული ტიხრული მინანქრის საამქროს ფუნქციონირების ხელშეწყობა.

აგრეთვე ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს ახალგაზრდობისათვის იმ ცოდნისა და ქცევის ნორმების შექმნას, რაც უზრუნველყოფს მათ მზადყოფნას ყოველდღიური ცხოვრებისათვის, ხელს უწყობს მოზარდთა ინტერესების შესაბამისად სამეცნიერო-შემოქმედებითი, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური მიმართულებებით მოქნილი პროგრამების შემუშავება-განხორციელებას და აქტიური ინტელექტუალური ახალგაზრდობის გამოვლენას. ასევე პროგრამა ხელს უწყობს მოსახლეობის სადღესასწაულო განწყობის ამაღლებას, ქართული კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებას. ცენტრი უზრუნველყოფს სხვადასხვა სადღესასწაულო დღეებში გასართობი სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზებას და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „გორის“ ფუნქციონირებას ხელშეწყობას.

ბ.მ) ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 16)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

მუნიციპალიტეტის მიერ ინტელექტუალური დონის ამაღლების, ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა. ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და არსებული წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით.

ლიტერატურული კონსულტაციების გაცემა, მწერალთა შემოქმედებითი სადამოების ორგანიზება, ლიტერატურული ნაშრომების პრეზენტაცია, მწერალთა შემოქმედების პოპულარიზაცია ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემების მეშვეობით.

გ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შიდა ტურიზმის, შემოყვანის ტურიზმის, სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის პოპულარიზაცია და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება მოსწავლე-ახალგაზრდობაში.

გ.ა) ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ეკლესია-მონასტრების და სხვა ღირსშესანიშნაობების გაცნობა საქართველოში ჩამოსული ტურისტებისათვის და



მათთვის საინტერესო მარშუტების შეთავაზება.

გ.ბ) ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფინანსური დახმარება ყველა იმ ორგანიზაციასა, რომელიც წარმოადგენს მიზნობრივ პროექტს, რომელშიც ნათლად იქნება ასახული ახალგაზრდული გარემოს გაუმჯობესება ან იქნება ორიენტირებული ახალგაზრდულ აქტივობებსა და ახალგაზრდების ინტელექტუალურ განვითარებაზე (ასაკი 14–29 წ).

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური აქტიურად უჭერს მხარს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს მიერ მხარდაჭერილ სასკოლო ოლიმპიადას, რომლის მიზანია სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში აქტიური და პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენა შემდგომში სხვადასხვა სპორტულ კლუბებში ჩასართავად.

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდული განყოფილება საჯარო სკოლებსა, თუ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელს სტუდენტებისათვის, ამავე დროს სამეურნეო საქმიანობაში და სხვა სფეროში დაკავებულ ახალგაზრდებისათვის გეგმავს სხვადასხვა სახის აქტივობებს, რომელთა მიზანია მათი სულიერი და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

დ) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე რელიგიურ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას. შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ შემოტანილი განცხადების საფუძველზე მათ დახმარებას.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ა) ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მომსახურება (პროგრამული კოდი 05 01)

